ბრძანება:**ბ135. 135241971**
თარიღი:**15/07/2024**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საოქმო განყოფილების III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, გვანცა ფალიანის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე და 63-ე მუხლების, საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის და „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის #26 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განისაზღვროს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საოქმო განყოფილების III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, გვანცა ფალიანი.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს დაევალოს უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია-მოვალეობების შესრულება.

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებისას ანგარიშვალდებულია მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

4. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შესაბამის განყოფილებას ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N 12ა)

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი